


# ვედრება ვიცი

გამომცემლობა
თ
თიმაში ბავშვები

# ვედრება ვიცი










მწერალი:
ჩიღემ ოზმენ

მხატვარი:
აჰმეთ ქესგინ



გამომცემელი:
ოსმან ოქჩუ

გამომცემლობის ხელმძღვანელი:
სავაშ ოზდემირ

დიზაინი:
ქენან ოზჯან



–რაბბი იესსირ ველა
თუასსირ რაბბი
თემმიმ ბილჰაირ





muslim georgia

გამარჯობა. მე სარა მქვია. ჩემი სახელი ძალიან მომწონს. ბებიას დაურქმევია. სარა ჩვენი შუამავლის დიდი ბაბუის, ჰზ. იბრაჰიმის, მეუღლის სახელი ყოფილა. ამავდროულად, კიდევ ერთი შუამავლის, ჰზ. ისჰაკის (ისააკის), დედაა.

ბედნიერი ვარ, რომ მის სახელს ვატარებ. ეს ვედრება ბებიამ მასწავლა და ასეთი ახსნა აქვს:

–ჩემო ალლაჰო,
გამიმარტივე,
ნუ გამირთულებ.
დამეხმარე დაწყებული
საქმის კარგად დასრულე-
ბაში.



muslimgeorgia



muslimgeorgia



რა კარგია, ხომ ასეა?

თუ მომისმენთ, გაგიზი-
არებთ იმას, რაც ვიცი
ვედრებასთან დაკავ-
შირებით. რა თქმა უნდა
დედა დასაძინებლად თუ
არ გამაგზავნის, რადგან
უკვე ძილის დროა.



ვედრებასთან დაკავშირებით ვიფიქრე და ასე მგონია, რომ მთელ დღეს ალლაჰზე ვევდრებაში ვატარებ.

საქმის დაწყებისას და დასრულებისას, დაწოლისას ან ადგომისას, მწუხარებისა და ბედნიერების დროს, რაიმეს ახდენა თუ მსურს, შიმშილისას, წყურვილისას, ავადმყოფობისას გამოჯანმრთელება რომ მსურს, გზას რომ დავკარგავ... ყველგან და ყოველთვის ალლაჰს ვევედრები.





ეს ალლაჰთან საუბარს
ჰგავს. ზოგჯერ სიტყვებით,
ზოგჯერ კი გულში გავლებით
ვევედრები. ვიცი, რომ ალლაჰს ჩემი
ესმის. ისიც ვიცი, რომ მარტო არ
დამტოვებს, რადგან ვედრებისას
ვმშვიდდები და თანაც ვიცი, რომ
ჩემს ვედრებას უპასუხებენ.



muslim georgia
muslim GEORGIA international charity foundation



როდესაც მეშინია: "ჩემო ალლაჰო, დამიფარე!" –ვამბობ.

სახლში მისვლას რომ ვაგვიანებ: "ჩემო ალლა-ჰო, გთხოვ დედა არ გამიბრაზდეს." –ვევე-დრები. მე მაბედნიერებს ის, რომ ყველაფრის ძალა შესწევს. ჩემი ესმის, მიფრთხილდება და ვუყვარვარ.




DOKTOR

რა თქმა
უნდა ეს
იმას არ
ნიშნავს, რომ
ყველაფერი,
რასაც
ალლაჰს
ვთხოვ, მაშ-
ინვე ამიხ-
დება. ვედრე-
ბა ავად-
მყოფობისას
ექიმთან მისვლას ჰგავს. ექიმმა ჩვენზე უკეთ
იცის, თუ რომელი წამალი მოგვარჩენს. მწარეც
რომ იყოს, წამლებს წუწუნის გარეშე დავლევთ,
რადგან ვიცით, რომ გამოგვაჯანმრთელებს.





muslim georgia

ექიმს არ ვუწყრებით და არ ვეუბნებით, "ეს წამალი რატომ არ გამომიწერე?" ან "ასე მწარე წამლები რატომ გამომიწერე?" გვჯერა, რომ მათ ჩვენი გამოჯანმრთელება სურთ.

მე ალლაჰს ექიმებზე მეტად ვენდობი. მე მჯერა, რომ მას ჩემთვის სიკეთე სურს. მჯერა, რომ ვუყვარვარ. მე მან გამაჩინა. მე მისი მორჩილი ვარ, ის კი ჩემი ღმერთია.





მე მინდა ჯაჰით ზარიფოღლუს ლექსი წაგიკითხოთ. ლექსი, რომელსაც წაგიკითხავთ, ჯაჰით ბიძიამ ჩვენთვის, ბავშვებისთვის, დაწერა.

ლექსს ჰქვია : "ასეთი იყავი, ასე თქვი."





აკვნიდან დაწყებული
საფლავამდე,
მთელი ეს გზა,
ხელს ნუ გამიშვებ, ღმერთო!
თორემ დავეცემი მაშინ,
და რისთვისაც გამაჩინე,
ჩემს გულს უთხარი, ღმერთო!
ის საყვარელი მსახურნი,
როგორ ნათლიით მოსილნი,
რა ლამაზები არიან,
მეც მიწყალობე, ღმერთო!

და რა სიკეთეს და სათნოებას
გვედრებოდა შუამავალი
იგივე სიკეთეს და სათნოებას,
მეც გვედრები, ღმერთო!
და რისგანაც შორს იყო შუამავალი,
მეც დამაშორე, ღმერთო!

მთელი ამ გზის მანძილზე
ნურასოდეს,
ხელს ნუ გამიშვებ, ღმერთო,!

muslim georgia



muslim



ზოგიერთ
ვედრებას
ყურანი
გვასწავლის.
ზოგიერთს
კი ჩვენი
საყვარელი შუამავლისგან ვსწავლობთ.

რელიგიის მცოდნეებისა და ალლაჰის მეგო-ბრებისგან ბევრი კარგი ვედრება ვისწავლეთ. რა თქმა უნდა ჩვენი ვედრებებიც გვაქვს...

უფლება გვაქვს ალლაჰს ის შევთხოვოთ, რასაც მოვისურვებთ. ჩვენი შუამავალიც ამბობს, რომ ვედრება ჩვენი იარაღია. ანუ, ადამიანი ვედრე-ბით საკუთარ თავს ბოროტებისგან იცავს.



რა თქმა უნდა ვედრე-
ბა მხოლოდ სიტყვებით არ
ხდება. ჩვენი ყოველი ქცევა
ვედრებას ჰგავს...

გაკვეთილის მეცადინეობისას
ალლაჰს წარმატებას ვთხოვთ.
გლეხები მიწაში მარცვლებს
რომ თესავენ, ალლაჰისგან
უხვ მოსავალს ითხოვენ.

როგორც მამაჩემი ამბობს,
მხოლოდ ადამიანები კი
არა, არამედ ყველა არსება
ალლაჰს ევედრება.





muslim georgia



აი, მიწის გამოშრობა წვიმისთვის შევედრებას ნიშნავს. პატარა მარცყების გამოუღვალი მდგომარეობაც ვედრება ყოფილა. მამამ მაგალითად რძე მოიყვანა, რომელსაც ალლაჰი დედის რძის საბადოს საშუალებით პატარებს უგზავნის. მსოფლიოში ყველაზე კარგ საჭმელს გამზადებულს მიირთმევენ.



თევზები წყლიდან ვერ ამოდიან, მაგრამ საკვებს წყლისგან ღებულობენ. ხეები ვერ მოძრაობენ, მაგრამ ალლაჰი მათ საკვებს, ანუ წვიმასა და შუქს, ადგილზევე უგზავნის.



ღმერთო ჩემო! დედაჩემი მოვიდა. ჯერ ერთ ჭიქა რძეს მასმევს და შემდეგ უნდა, რომ დავიძინო. დავჯექი, ვთქვი "ბისმილლაჰ" და ისე დავლიე რძე.

ალლაჰმა ჩვენთვის რა კარგი საჭმელები გააჩინა. ძროხები ჩვენთვის შრომობენ, რძეს გვაძლევენ. ქათმები ჩვენთვის შრომობენ და კვერცხს გვაძლევენ. ფუტკარი ჩვენთვის შრომობს და თაფლს გვაძლევს. ჩვენმა გამჩენმა რა ლამაზი საჩუქრები გვიბოძა.

რძე რომ დავლიე, "ელჰამდულილლაჰ" ვთქვი და მას მადლობა გადავუხადე.





muslim georgia
muslim international charity foundation GEORGIA

კარგი ახლა დაწოლის დროა. ისევ "ბისმილლაჰ" ვთქვი და ჩვენი შუამავლის მსგავსად მარჯვენა მხარეს დავწექი. ბოლო ვედრება, საწოლის ვედრებაა. ხუთი წლის ასაკში ვისწავლე ეს ვედრება. ყოველ ღამე ვკითხულობ:

ვიძინებ, ღმერთო. მშვიდობით გამაღვიძე.
შენი ნათელით შემმოსე ხვალე.
და როცა სული სხეულს გაეყრება,
რწმენით, ყურანით წამიყვანე.

დავწექი მარჯვნივ თუ ვბრუნდები მარცხნივ,
მივენდობი მე შენს წყალობას.
ანგელოზები იყონ მოწმენი,
რწმენის და ჩემი სარწმუნოების.



ჩემს ირგვლივ იასინი,
მაღლა თებარექე,
კარები ამმე,
გასაღები კი
ყულჰუველლაჰუ ეჰედ
ელლაჰუ სემედ
ლემ ელიდ ვე ლემ იულედ
ვე ლემ იექულლეჰუ
ქუფუვენ ეჰედ.
ბისმილლაჰ, ერთი ხარ,
და ყოვლად ნათელი.
სამოცდაათი ათასი აიეთელ ქურსი
ოთხივ მხრივ მყავდეს დამცველი.

თქვენ აიეთ-ელ ქურსი ზეპირად იცით? მე დავიზეპირე. ყოველ ღამე, ამ ვედრების შემდეგ აიეთ-ელ ქურსს ვკითხულობ და ისე ვიძინებ.

ახლა კი ყველას ღამე მშვიდობის.

